# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი.

ფასი:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . | 3 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 113

წელიწადი მეორე

1913

ოთხშაბათი, 31 ივლისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშა.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი, |
| ერთი თვით. . . . | 4 აბაზი, |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქუთაისი.

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

და ზაფხულის სეზონი

პოპლინი, მესალინი, ფეიროնი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.


მწუხარებით აუწყებენ ...ამირეჯიბისა, სიმონ და მინა მიხეილის ძენი ამირეჯიბები, ლიდია იაგორ მდივნის ასული ამირეჯიბისა, ოლღა ოტია ჩიქოვანის ასული ამირეჯიბისა, თ. ათინა იოსებ ამირეჯიბის ასული ერისთვისა და თ-დი ალექსანდრე სპანდიერის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უდროოთ გარდაცვალებასა საყვარელის და დაუვიწყარის პირველი შვილისა თვისისა, მეორენი დისა მათისა, მესამენი მძლისა მათისა, მეოთხე ბიძაშვილისა თვისისა და მეხუთე ცოლისდისა თვისისა პოლკოვნიკის ქვრივის

### ბაიანე მიხეილ ამირეჯიბის ასულის ჯაფარიძისას,

უმორჩილესათ სთხოვენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ რათა პატივ სცენ და დაესწრონ მიცვალებულის ცხედრის გამოსვენებას და დაკრძალვას წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე მარიამობისთვის 2 რიცხვს 1913 წ. დღით პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათზე, სოფელ მესხეთში (ქუთაისის მაზრა), განსვენებულის საკუთარ სახლში.


მსურს შევიძინო კარგათ გაწყობილი

## ეტლი,

იეზინის შინებით და რწყვილი ცხენით. მომართეთ აგვისტოს ათამდი ახალსენაკში (მოთხოვნამდი) ტ. ი. ჩ—ს. პასუხი რუსულათ.

## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.



## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასაკვეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.



## ქ. ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყო-ფი

## საბუღალტერო კურსები

### გ. გ. გივინეიშვილისა.

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)

## აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე. გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

შინაგან სნეულებათა **აქიმი**

ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.



## თ. ა. მთავრიშვილის

## წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც იხმარება ქალაქ ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივათ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი,** ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.



**გაზეთი „იმერეთი"** იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.



## წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

(ქუთაისი)

ამით აცხადებს რომ: 1. გარდა უფროსი მოსამზადებელისა, მესამე და მეექვსე კლასებისა, ვაკანსია ყოველ კლასშია; 2. თხოვნების მიღება საჭირო საბუთებით შეიძლება ამა წლის 20 აგვისტომდი; 3. მისაღები გამოცდა და ხელმეორე გამოცდანი დაიწყება აგვისტოს 22 დან.; 4. მერვე კლასში მიღება იქნება ატესტატების კონკურსით. თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ დოკუმენტები და ნახევარი წლის სწავლის ფასი; უამისოთ თხოვნები არ განიხილება.

## თფილისის მეორე რვაკლასიანი

**კომერციულ სასწავლებლის** ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ **მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში**

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ | „ | 13—16 წლ. |
| მეორეში „ „ | 11—14 „ | მეხუთეში | „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში „ „ | 12—15 „ | მეექვსეში | „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

## ქალთა პროგიმნაზია

### მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ოზორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.


## დღიური.

ოსმალეთის ჯარმა მარიცას საზღვრები გადალახა.

— სტამბოლში მინისტრთა კრებამ დაადგინა: ადრიანოპოლის ევაკუცია შეუძლებელია ვინაიდან მას ჯარი და ხალხი იცავსო.

— სან-სტეფანოსა და ჩატალჯას შუა ოსმალთა შორის აცხარებული მუშაობაა.

— ბუქარესტში ალხს 21 ზარბაზანის გასროლით ამცნეს ზავის ჩამოგდება.

— ათინაში ზავს დიდი ზეიმით შეხვდენ. გაიმართა დიდ მანიფესტაცია, სადაც ხალხი ყვიროდა გაუმარჯოს მეფეს, საბერძნეთს და ვენეზელისსო.

— მექსიკის მეცხვრებლები იარაღს ისხმენ და მოსალოდნელია შეერთებულ შტატებთან ომი მოუხდეს.

— ვენაში ერთი კაცი ხოლერით გარდაიცვალა.

— იმპერატორმა ვილჰელმა საბერძნეთის მეფე გერმანიის ჯარის ფელდმარშლათ დანიშნა.

— თეირანში ბახტარიებს ჟანდარმებთან შეტაკება მოუხდათ.

— ავსტრიამ თავის ჯარს 40 ათასი კაცი მიუმატა.

— ლონდონში აქიმთა საერთაშორისო კრება გაიხსნა.

— ოსმალები ადრიანოპოლსა და კირკილისეს ამაგრებენ.

— რუსეთი და ავსტრია თხოულობენ—ბუქარესტის კონფერენციის დადგენილება ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციამ განიხილოს.

— იტალიამ უარი უთხრა ოსმალეთს ეგეის კუნძულების დაბრუნებაზე.

— სპარსეთის სომხებმა რუსეთის მეფეს ოსმალეთის სომხების ინტერესების დაცვა სთხოვეს.

— კავკასიის სამთო საზოგადოებას ნავთიანი მამულებიდან 1914 წელს 12,490,009 მანეთი შამოუვა.

— ფინლანდიის სეიმის არჩევნებში სოციალდემოკრატებმა გაიმარჯვეს.

— შინაურ საქმეთა მინისტრი პოლიციის დაწესებულებათა სარევიზიოთ რუსეთის ზოგიერთ ქალაქებს შემოივლის.

— სერბიას ომის დროს 41 ათასი კაცი დაკლებია.

## ერთი წერილის გამო.

ეტყობა—ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი, რომლის წერილსაც ქვევით ვათავსებთ, სალი მსჯელობისა და ფხიზელი გონების კაცი ყოფილა. იგი მიმხვდარა იმას, რასაც ჩვენდა საუბედუროთ ბევრი საქართველოში მყოფი მთავრობის წარმომადგენელი ვერ ხვდება და თავისუფლათ უთქვამს მას ის, რასაც სხვები ხვდებიან და მალვენ, რადგან ასეა ზევიდან ნაბძანები. განაპირა ქვეყნების ბედი არასდეს არ ყოფილა იღბლიანი, და უფრო შევიწროვებული კი, ამ უკანასკნელ ხანებში გახდა. ეროვნული ანტაგონიზმი, „ინოროდცების" მათი ყოფა ცხოვრების შევიწროება, დევ-

ნა, ყოველივე ეს ამ უკანასკნელ ხანებში ეპიდემიურსა და გარკვეულ სახეს იღებს.

აიღეთ ფინლანდიის ბედი, რომლის ავტონომია რუსეთის მართველი წრეების მიერ აღსარებული პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ დღითი დღე სულს ღაფავს და მზათაა წარუსლის არქივს ჩაბარდეს. გაიხსენეთ რუსეთის კანონმდებლობითი დაწესებულებათა მიერ მიღებული კანონპროექტები ფინლიანდიის შესახებ, გადახედეთ სათათბიროს მატიანეს და თქვენ სავსებით დარწმუნდებით, რომ ზემოთ ნათქვამი ნამდვილია. ფინლიანდიაში ერთა უფლებრივი გათანასწორება, დაწესებულებებში სახელმწიფო ენის გაბატონება, რისი სიმპტომია, თუ არ ფრთაშეკვეცილი ავტონომიის სამარის პირთან დაახლოვებისა. უარეს დღეებს განიცდის პოლონეთის ერთი ნახევარი, რომელიც სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შესულს, მეორე თავის ნახევარს შურის თვალით შესცქერის. ვის არ ახსოვს მესამე სათათბიროში აღძრული და მეოთხეში დაგვირგვინებული ხოლმის გამოყოფის კანონპროექტი და პოლონურ დაწესებულებებში ბუნებრივი ენის დევნა შევიწროება? აიღეთ უკრაინა, რომლის შესახებ შინაურ საქმეთა ახალი მინისტრი მაკლაკოვი ცირკულიარულ შეკითხვას აძლევს უკრაინის მართველ წრეებს,— გამაგებინეთ, თუ უკრაინის შკოლებსა და სხვა დაწესებულებებში რა ადგილი აქვს მოლოროსულ ენას დათმობილიო... და კიდევ ბევრი სხვა. ყველაფერი ეს იმიტომ მოვიყვანეთ, რომ საერთოდ განაპირა ქვეყნების ბედი რუსეთის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიურ-სოციალურ ზრდა-განვითარების პროცესში, განსაზღვრულ, განცალკევებულსა და განყენებულ გზაზეა დაყენებული, რომელსაც იგი, აყვავება-აღორძინების მაგივრათ გაქაწყლებისა და გაქრობისაკენ, ბუნებრივი სახისა და „თავისებურობის“ მოსპობისაკენ მიყავს. როგორც ვსთქვით რუსეთში საერთოდ არც ერთი „ინოროდეცი“ არაა მოკლებული დევნა-შევიწროებას, მაგრამ საქართველოსი და ქართველთა ბედი კი ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია. ჩვენ იძულებული ვართ ქვეყნში, ჩვენს ტერიტორიასა და მიწა-წყალზე მცხოვრებ ჩვენს მეზობელ სომხებსაც კი შურის თვალით შევცქეროდეთ, რადგან საერთო ბედის ტრიალი იმათზე მეტი სიმწვავით ჩვენ გვაწუხებს და გვიწიწკნით გულს. მათი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი ისეთ დევნას არ განიცდიან, როგორსაც ჩვენი და მაშინ როცა „ქართულ“ შკოლაშიც კი პირველობა უცხო ენას ეკუთვნის, სომხების სემინარიებსა და პირველ-დაწყებით შკოლებში სომხურს, ნაციონალურ ენას ეკუთვნის უპირატესობა და ყველა საგნების სწავლაც ამ ენაზე სწარმოებს. თუ ავიღებთ ეკლესიას, აქ ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგან ქართულმა ეკლესიამ დიდი ხანია რაც პირველ-ყოფილი სახე დაკარგა და იგი დევნა-წამების არენათ გადაიქცა, სომხები კი ამ მხრითაც ბედნიერები არიან. როცა ჩვენ სომხებს ვახსენებთ, არავინ იფიქროს მათდამი ქვენა გრძნობები გვალაპარაკებდეს რამეს, სრულიადაც არა, ჩვენ მხოლოდ ერთხელ კიდევ გვსურს აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ არამც თუ სხვა განაპირა კუთხეთა ცხოვრებას, ქართველთა სვე-ბედი საქართველოში მცხოვრებ, მეორე ერის ბედსაც კი ბევრათ ჩამორჩება და იმასთან შედარებითაც კი განყენებას წარმოადგენს დევნა-წამების მხრით. ვინ არ უწყის, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამათ ჩვენი შკოლები, რომლებიც იანცებისა და სხვათა ხელში სულს ლაფავს და თავის ეროვნულ სახეს კარგავს... სოფლის პირველდაწყებითი, ერთკლასიან შკოლებიდანაც კი, სადაც ან-ბანის მეტს არას ასწავლიან, ქართველ მასწავლებლებს სდევნიან და უცხო ტომთა წარმომადგენლებით ავსებენ მათ, რომელთაც ქართული ენისა სრულებით არა გაეგებათ რა. „გარუსების“ პოლიტიკა თავის მომაკვდინებელ ლტოლვას სრულიად აღარ ფარავს და ელვის სისწრაფით მოქმედებს. გადამგვარებელი აგენტები დიდის ერთგულებითა და ენერგიით მოღვაწეობენ და წარმატების მოლოდინში მყოფნი „ბოძებული ინსტრუკციების“ ფარგალშიც ველარ თავსდებიან და ბევრს თავისი მოღვაწეობა არა კომპეტენტურ სფეროშიაც კი გადააქვს. რამდენი რამის თქმა შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ ამჟამათ საუბარს აქ ვწყვეტთ და ვათავებთ ბ—ნი გერშელმანის სიტყვებით:—პირველდაწყებითი შკოლა თავის დანიშნულებას ღალატობს, მას მიზნათ ქართველთა გარუსება დაუსახავს და ამას იგი ტლანქათა და უხეშათ ასრულებს. ახალგაზდობის აღმზდელობითი მიმართულება პედაგოგიური პერსონალის შესაფერ შემადგენლობას მოითხოვს და არა უხეშსა და ყოველგვარ აღმზდელობითი ძალას მოკლებულ მასწავლებლებს, რომელთა ხელში ეს წმინდა საქმე იმყოფება“...

**იმერი.**

---

## ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის ფ. კ. გერშელმანის აზრი, მის მიერ გამოთქმული 1908 წელს.

კავკასიაში სახალხო შკოლათა საქმე ცუდათაა დაყენებული. პირველ—დაწყებითი სასწავლებელი თავის პირდაპირ დანიშნულებას გვერდს უხვევს, მას ამ მხრის გარუსება დაუსახავს მიზნათ და ამას იმდენათ ტლანქათ და უგვაროთ ასრულებს, რომ მცხოვრებლები შკოლათა წინაამდეგ აამხედრა. ხალხში სწავლის წყურვილი და მოთხოვნილება დიდია, ბევრგან მოითხოვენ შკოლების დაარსებას, მცხოვრებლებს ეტყობა სწავლის საჭიროების შეგნება და ძლიერი ლტოლვა სწავლისადმი. ადგილობრივი პირობები ქმნიან საჭიროებას სამეურნეო, სახელოსნო და ტეხნიკურ სასწავლებელთა გახსნისას, განსაკუთრებით პირველი ორისას და აგრეთვე დაარსებას პირველდაწყებითი შკოლებისას.

სახალხო შკოლა კავკასიაში გარუსების იდეას ემსახურება, მთელი საშკოლო სისტემა საგნების რუსულად სწავლაზეა დამყარებული, და ბუნებრივი, მშობლიური ენა იდევნება. არ უარვყოფთ ადგილობრივი ხალხის მიერ რუსული ენის შესწავლის სარგებლობას, მით უმეტეს, რომ ხალხიც პატივსა სცემს მას, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ ხსენებული მოქმედებიდან დადებითს ნაყოფს ვერ მივიღებთ.

პირველ-დაწყებითი სწავლა ბუნებრივიც იქნება, რომ აუცილებლათ საშობლო ენაზე სწარმოებდეს. სხვა, უცხო ენაზე სწავლება გაუგებარი იქნება, იგი შკოლასა და მეცნიერებისადმი ხალისს ჩაკლავს ყმაწვილებში, უკიდურესობამდი გაართულებს სწავლების საქმეს, ყმაწვილს არაფერს პრაქტიკულს არ მისცემს და ბოლოს მას არც რუსული ეცოდინება და არც ის, რასაც პირველდაწყებითი სასწავლებელი უნდა იძლეოდეს. ყოველ შემთხვევაში რუსული ენის შესწავლა ხალხის უკმაყოფილების საბაბი არ უნდა იყოს.—შკოლებიდან ქართული ენის განდევნა, ადგილობრივი ენისადმი აშკარა უპატივცემულება, მხოლოდ სიძულვილს იწვევს ყველაფერი რუსულისადმი. ცხადია, რომ ორივე ენის შესწავლა, რუსულისა, როგორც სახელმწიფო ენის, და ბუნებრივისა ხელიხელ ჩაკიდებულნი უნდა მიდიოდეს, რომ ერთი მეორეს არ უშლიდეს. არსებული შკოლები უბრალო მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს და მოზარდობიაში არაფერ სასარგებლოს არ სთესავს, იგი პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, მხოლოდ არა ისე, როგორც ეს საჭიროა, ამიტომ იგი ვერც მიზანს აღწევს. საქმის ამგვარათ დაყენებას მხოლოდ უნდობლობისა, გაბრაზებისა და ზიზღის გამოწვევა შეუძლია საზოგადოების მხრით. ახალგაზდობის აღმზდელობითი მიმართულება პედაგოგიური პერსონალის შესაფერ შემადგენლობას მოითხოვს და არა ისეთ აღმზდელებითი უნარ მოკლებულს, უხეშსა და ცრუ პატრიოტებს, რომელთა ხელში ახლა იმყოფება ეს წმინდა საქმე.

---

# ახალი ამბავი.

ქუთაისის სახელოსნო საკრედიტო ბანკში ბევრი ბოროტ-მოქმედება ამოაჩინეს რევიზორებმა. გუშინ ამის გამო რევიზორებმა ნიჟარაძემ და ფომენკომ ბათომიდან გამოიხმეს სახელმწიფო ბანკის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელმაც რევიზორების მიერ ამოჩენილი ბოროტება დაადასტურა. სხვათა შორის ამოჩნდა: ოთხასი თუმნის ვადა გასული ვექსილები, ორი სამას-სამას მანეთიანი ვექსილი დაუხურდავებიათ მოსკოვის სახალხო ბანკში და დავთრებში არსად არ არის აღნიშნული. სამას მანეთამდი კასას აკლია და გასამართლებელი საბუთები არ არის და სხ.

ბანკის გამგემ წინადადება მისცა რევიზორებს საზოგადო კრება მოიწვიონ ახალი გამგეობის ასარჩევათ.

✦ საზღვარ გარეთიდან ცნობაა, რომ ხმელი პარკის ფასს ძალიან აუწევია,—63 64 მანეთამდი ასულა. შარშან ამ დროს ფასი 40 მან. იყო. მოსკოვიდან და ნუხიდან მყიდველები ჩამოსულან. ვაფრთხილებთ პარკის პატრონებს ნუ აჩქარდებიან პარკის გაყიდვას. შესაძლოა—ფასი კიდევ აიწიოს.

✦ დღეს მეღვინეებისა და მევენახეების საგუბ. კომიტეტის კრება მოხდება. კრებას ბევრი საგულისხმო საქმე აქვს გამოსარკვევი; სხვათაშორის, ბ. ტიებოს თაობაზეც ექნებათ მსჯელობა.

✦ ქუთაისის სამეურნეო კომისიის წევრნი შეუდგენ ფილოქსერის გამოკვლევას სოხუმისა და ართვინის ოლქებში.

✦ სამხედრო მფრინავის ცომაიას ცხედარს დღეს, დილის 8 საათზე მოასვენებენ ქუთაისის სადგურზე. სადგურიდან ცხედარს პეტრე-პავლეს ეკლესიაში წაასვენებენ.

✦ აგვისტოს პირველ რიცხვებში ქუთაისს ეწვევიან გერმანელი სტუმრები ორი პროფესორის თანხლებით. მათ განზრახვა აქვს გაეცნონ კავკასიის [illegible] ნომიური მხრივ.

✦ 1914 წელს [illegible] ნის-გუბერნიებში, ყარსში, [illegible] სა და ბათომის ოლქში [illegible] პრაქტიკული სამეურნეო „კურსები.“

✦ შავი-ზღვის მრეწველთა საბჭოს მ[illegible] ქიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორათ არჩეული გიორგი ქუმბურიძე სამოსწავლო მთავრობამ არ დაამტკიცა.

✦ ქუთაისში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი შჩეპეტოვი, რომელიც რუსეთის მეაბრეშუმეობის [illegible] სახებ მიმოხილვას ადგენს.

✦ მინისტრთა საბჭოში შეიტანეს კავკასიის მეფის მოადგილის მიერ შემუშავებული პროექტი ჩვენში ხიზანთა დამოკიდებულობის მოსპობის შესახებ.

✦ შავიზღვის ნაპირას რკინის გზის გასაყვანი მუშაობა შემოდგომაზე დაიწყება. რკინის გზას 500 ვერსის სიგრძე გაიყვანებენ. გზის გასაყვანი მუშაობა ოთხ წელიწადს გაგძელდება. რკინის გზა ლიანდაგი გადაივლის ტუაფსეს, სოჭს, გაგრას, ათონს და სოხუმს და [illegible] მთით ქუთაისისკენ და კავკასიის რკინის გზას შეუერთდება.

✦ ფინანსის სამინისტროს საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულმა კანცელარიამ ბათომის ქალაქის მოურავს აცნობა: ხელმწიფე იმპერატორმა, ფინანსის მინისტრის მოხსენების თანახმათ, ბძანა: მიეცეს ქალაქ ბათომს ხაზინიდან 50 ათასი მანეთი სესხათ.

✦ პეტერბურგში საინჟინერო საბჭოს კრებაზე საუღელტეხილო რკინის გზის შესახებ ა. კამბიაძემ მოხსენება წაიკითხა. საუღელტეხილო რკინის გზამ კავკასიის ქედი უნდა გადალახოს და ახალციხის მიმართულებით წავიდეს. რკინის გზის ღირებულება 110,000,000 მანეთი უდრის, ის 71 ვერსის მანძილზე იქნება გაყვანილი. გზის კეთებას 8 ნახევარი წელიწადი მოუნდებიან. გაიყვანებენ ორ გვირაბს არხოთისა და ტარსკისას. პირველის სიგძე 22 ნახევარი, ხოლო მეორეს 6 ვერსი იქნება.

✦ ქუთაისის პედაგოგიურ კურსებზე მისაღები გამოცდა 27 აგვისტოს დაიწყება. თხოვნების მიღება ეგზამენების დაწყებამდი შეიძლება.

✦ სოფ. წინანდალში, კონდოლში და ქვემო ხოდაშენში ვენახებს ფილოქსერა გაჩენია.

✦ სიღნაღის მაზრის სოფ. ფხოველში ნავთი ამოუჩენიათ. ზოგან მუშაობაც დაუწყიათ ინჟინერი ურუშაძის ხელმძღვანელობით.

---

# ლე და ზენა.

### შექმნილი ლეგენდა.

კოლხეთის მეფის სასახლე სადღესასწაულოთ იყო მორთული. ტკბილ საკრავთა ხმა გაისმოდა. იყო ერთი ფუსფუსი, ერთი ხმაურობა.

— გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს დედოფალს!—იძახდა სასახლესთან შეკრებილი ხალხი...

მეფეც სასახლის აივანზე იდგა და ხალხს სალამს აძლევდა, მადლობას უხდიდა... მისი თეთრი წვერიც, თოვლივით თეთრი წვერიც თითქოს სიხარულით ბრწყინავდა. და განა არ უნდა ებრწყინა?!

სიბერის დროს, როცა ორმოცი წლის შერთული ყავდა თვისი საუნჯე და შვილი არ გასჩენოდა, ამ სიბერის დღეს გაუჩნდა ტახტის მემკვიდრე და ტახტის მემკვიდრესთან ერთად ასულიც. დედოფალს შეეძინა ტყუპი ქალ-ვაჟი. მეფე სიხარულით ატაცებული იყო. ხალხიც, ქვეშევრდომნიც ხარობდენ, ყველა ხარობდა და ეს სიხარულიც მეფეს უფრო ამხიარულებდა. აივანზე გადმომდგარი მბძანებელი ხალხის მხიარულ ყიჟინს ყურს უგდებს და სტკბება.

ყიჟინებს ხალხი და ამ ყიჟინს ბანს აძლევს მქუხარე ფაზისი, რომელიც სასახლის გვერდს შხუილით ჩაურბის.

— დაურიგეთ ხალხს ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ძღვნით შემოსეთ! დღეიდან ჩემს სამეფოში ღარიბი არ უნდა იყოს. გაშალეთ სუფრა სასახლის ბაღში, მოიტანეთ ღვინო, კოლხეთის წითელი შარბათივით ღვინო, დაკალით ხარ-ირმები და ლხინი იყოს დღე და ღამ ჩემს სასახლეში, ვიდრე ნამგლის მზგავსი მთვარე მესამეთ არ გაივსება!.. გასცა ბძანება მეფემ და ხალხს მოუწოდა, რომ მოლხინეებს და სიამოვნებით დამთვრალიყვნენ...

კვალათ ყიჟინი და მხიარული მეფე სასახლეში შებრუნდა...

— მკითხავი მომგვარეთ. ხოსრო მკითხავი!—ბძანა მეფემ და სარკმლიდან მქუხარე ფაზისს დააშტერდა...

— მიბძანე მეფევ!—და ხოსრო მეფის წინაშე მუხლებზე დაეშვა.

— აბა ჩაიხედე. ხოსრო ჯამში და მითხარ ბედიღბალი ახლათ დაბადებული ჩემი შვილებისა.

ხოსრომ თიხის ჯამზე წმინდა წყალი დაისხა, რაღაც წაიბუტბუტა და შიგ ჩააჩერდა...

მეფე გულის ფანცქალით მისჩერებოდა ხოსროს, მისჩერებოდა და ელოდა უცნობის გაგებას; ხოსრო-მკითხავი კი მოღუშული წყლიან ჯამს ჩასჩერებოდა... ბოლოს თავი მაღლა აიღო და დაიწყო:

— მეფეთ-მეფეო კოლხეთისავ! ნუ შერისხავ საბრალო ხოსროს, იგი მართლის-მთქმელია!! მეფეო, ვაჟი შენი შენს სიკვდილს შემდეგ იმეფებს სამს თვეს—მერე დასტოვებს ტახტს და იმას ისხვერპლებს ის, იმას, რაც კაცობრიობას დღემდი სჭირს,—იგი გაქრება, მისი სიკვდილით გაქრება... მაგრამ შეიძლება თავიდან აიცილოს—ასეთი ბოლო, თუ თქვენ დღესვე თქვენს ვაჟს გაატნევთ იმ დიდებულ რომაელთა დესპანს, რომელიც გუშინ თქვენს სასახლეს ეწვია, გაატანეთ თვრამეტ წლამდი, რომ იქ რომში აიზარდოს.

ასული თქვენი—დაიწყო ხოსრომ...

— არა მსურს გავიგო მისი ბედი!.. დაიძახა მეფემ და ხელით ანიშნა, რომ შეჩერებულიყო...

— დამიძახეთ ნაზირ-ვეზირებს!—უბძანა მეფემ ხოსროს.

2.

ბაღში საკრავთა ხმა გაისმის. ვაჟნი კოლხეთისა ჯიხვებს ატრიალებენ. მშვენიერი ბანოვანნი ბაღში პეპლებივით დაცქრიალობენ... ყველა ლხინობს. ყველა იცინის

მხოლოდ მეფე ჯერ არ გამოსულა და მას ელოდებიან და ამ ლოდინით დამთვრალნი, უფრო თვრებიან. კოლხეთის ვაჟნი ლხინობენ. კოლხეთის ასულნი ეშხით, ვაჟთა ეშხით გატაცებული სწუწნიან წითელ ღვინოს—ჰაბუკთ ტუჩები გონიათ.

გადმოდის წითელი ღვინო გაისმის უდარდელი სიმღერა და ვნებს ქსელში ქანაობს მთელი ბაღი...

მოსწყდა უკანასკნელი მოფე სხივთა სვეტი კოლხეთის ვეშაპს, და მოქეიფენი წამით ვარდისკენ თალხის გახვია; შეაკრთო მთელი გული, ვნებით დაეკონა ახალგაზდათა ღვინით შეღებილ ტუჩებს და ფრთხილათ, მხიარული მშობლის კალთაში თავი შერგო...

თვლებით მოხატული ავი ხავერდი დედამიწას თავს გადაეფარა.

ამ დროს გამობძანდა სასახლიდან მეფე დიდებულებით. ჯერა ვერაფერი გადაეწყვიტა და დაღონებული სუფრას მიაშურა, რომ ღვინოშიარდი ჩაეკლა...

3.

— ის, რა ვარსკვლავია?—იკითხა შეზარხოშებულმა მეფემ და ხელი გაიშვირა აღმოსავლეთისკენ... ვარსკვლავი ბრწყინავდა.—თუთხმეტი წელიწადია—ის ვარსკვლავი ცაზე კიაფობს და თანდათან იზდება... ახლა კიდევ გვერდით ახალი ვარსკვლავი გასჩენია მითხარით, ვისია ის მოკიაფე ვარსკვლავი, ან ვისია ახლად გაჩენილი მნათობი—იკითხა მეფემ და ჯიხვი გადაკრა...

ყველა პირში ჩერებოდა. პასუხი ვერავის ეთქვა.

— დიდებულო მეფევ!—წამოდგა ხოსრო მკითხავი.—ის ვარსკვლავი, რომელიც სინათით თალს ატყვევებს რომის იმპერატორის ტახტის მემკვიდრეა და იგი მეორე მის გვერდით ახლათ გაჩენილი—თქვენი შვილი, რომელიც მალე მისს მეზობელს დაემზგავსება!—შეხედე მეფევ, როგორ ბრწყინავს პირველი ვარსკვლავი ისე იბწყინებს მეორეც... მხოლოდ არ უნდა დაშორდენ ისინი ერთმანეთს... მისწვდი, მეფეთა მეფევ შენი მონას...

— სს უუ—მივწვდი!

მეფემ მოისურვა—რომაელ დესპანებისთვის გაეტნიათ მისი ვაჟი—თვრამეტ წლამდი რომის სასახლის კარზე ასაზრდელათ...

4.

ტიბრის მობუტბუტე ნაპირას იდგა ვინმე ახალგაზდა. მან ეს ერთი კვირაა—სწავლა დაასრულა და უკვე მსწავლულ ვაჟათ ითვლება მთელს რომში. სასახლეში მიღებულია. ახალგაზდა პატრიციებს იგი ძლიერ უყართ. იციან იმათ, რომ იგი მოქეიფე, ქალების მოყვარული არაა, მაგრამ მაინც უყვართ; უყვართ, როგორც მტკიცე ხასიათის ადამიანი, გულადი და ლამაზი. და იგიც კმაყოფილია და ნეტარობს... სიბნელის თალხს მოუცვავს რომის არე მარე; მაგრამ იგი მაინც ჩასჩერებია ტიბრის ტალღებს, არ შორდება მის ნაპირს... ვინ არის ნეტავ ეს ყმაწვილი?!

იგი არის კოლხეთის მეფის ვაჟი ლე, რომელიც მეფემ ხოსრო მოგვის რჩევით 18 წლამდი რომს გაგზავნა... ლეს პირველად თვისი თავი პატრიცი ეგონა, მაგრამ ეს ერთი კვირაა გაიგო თავის ვინაობა. ხოსრო მკითხავმა, რომელიც მეფის ბძანებით მასთან განუყრელათ იყო და მშობლიურ ენას ასწავლიდა, მას ყველაფერი უამბო. ლემ სცნო ყველაფერი და ტიბრის მობუტბუტე ტალღებში კითხულობს თავის მომავალს.

— ნეტავი, როგორი ქვეყანაა კოლხეთი? ხვალ მე და ჩემი მამობილი, პატივცემული სენატორი კლავდიუსი, პალესტინას უნდა წავიდეთ... იქიდან საბერძნეთს... მერე ინდოეთს... იქიდან კი კოლხეთს... და მე ტახტზე ავალ... კოლხეთის ტახტზე.

ჩაფიქრდა... თან მამობილის სიტყვები გაახსენდა:—ლეს მოუთმენლად მიელის ქვეყანა, ერი, მოხუცი მშობლები და მისი ცალი, მასთან ერთად დაბადებული და, რომელიც თურმე დანიშნულია მიდიის მეფის ვაჟზე და ლეს მისვლისთანავე ქორწილიც იქნება, ქორწილი... ჩაფიქრდა. ბოლოს თვალი მოავლო ოქროს ლურსმებით მოჭედილ ცას, რომელიც ტიბრის ტალღებში იხატებოდა... მდინარე ბუტბუტებდა, მოსთქვამდა, ლემ ყური მიუგდო მდინარის ოხვრას და სადღაც შორს არ ყოფნის მხარეს გადაფრინდა. აი, მის წინ ქრიამულით ირაციან მშვენიერი ასულნი. აი, აქაფებული მდინარიდან, რომელიც ტიბრს მოგავს ამოცურდა ტიტველი ქალი, მოყვა მეორე, მეორეს მესამე... ას[illegible] სრულებლათ... ლე მოჩვენებით [illegible] რებს, ებრძვის... უცებ ტკბილმა ქ[illegible] ტელმა ტანს დაუარა, ამოიოხრა თა[illegible] უფლათ. იგი ანკარა, მოჩუხჩუხე მდინარის პირას სდგას,—გარშემო ბაღებში დიდრონ ხეებზე, რომელნიც ანკარა მდინარეს ეკეკლუცებიან, ვაზები გასულა მის ნაყოფის მწიფე მტევნები თვალს იტაცებს. შორით მოჩანს თოვლით დაფენილი მთის მწვერვალები... ესმის ნაზი სიმღერა... ვიღაც გასულა ვაზიან ხეზე დაუკვირდა:—მშვენიერი ასული ყურძენსა კრეფს... იგი იმღერის ტკბილათ... ცალი თვალი ლესთვის მიუპყრია—ჩამოხტა, ღიმილით მოირბინა ლესთან და მტევანი მოაწოდა... გამოართვა... მაგრამ მისი შავი სევდიანი თვალები გულს, ლეს გულს ნემსივით დაეცა... მისჩერებია... ასული ულიმის... ბოლოს მოუახლოვდა... წასჩურჩულა:

— სჭამე, ძღვენია კოლხეთისა... და შუბლზე აკოცა. ახლა-კი სულ აენთო ლე.

— ძვირფასო!.. მაგრამ ასული მოშორდა—დარჩი,—და ხელები გაიშვირა, სურდა გულს მიეკრა [illegible]

იგი ატარ იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე*).

...ხელოვანი არ გვყავს პატროკლე
სა... ...ილარი კი ტერსიტი მაწაზე დაიარება.

...ფილიპე მახარაძეს და მის ხნე-დაცემულ კომპანიას კიდევ ერთხელ მიუსურვებიათ გამომზეურება თავისი ბილწი გულისა და ახლა მიუმართავთ ორიგინალური საშვა-... ...ბისთვის—შეცდომაში შეყავთ გულუბრყვილო, შეუგნებელი ხალხი, რომელიც ბრმათ აყვება ხოლმე თავის გალაღებული ...ელოდებს და აწერინებენ პროტესტებს. ...ასაკვირველია, ს.-დემოკრატიული ბე-...ლადები დაჩვეული არიან დემაგოგიურ ...იყალბეს, რადგან ხელობათა აქვთ გადა-...ვეული ხალხის გაბრიყვება იქ, სადაც ...მართლით ვერას ხდებიან, მაგრამ ძნელი ...რმოსადგენია, რომ მოკლული მგოსანი, ...ც სხვერპლათ შეეწირა ფ. მა-...იანა ხალხის უვიცობას—დღესაც ...ლოდებს მოსვენებას საფლავში. ...იმ შავბნელი დროს, როდესაც ...ერი აშფოთებული იყო უმაგა-...ო, უმზგავსო მკვლელობით, როდე-...თელს საქართველოს ბინდი გადა-...და გული დათუთქული ქონდა—გო-...ერ ურიგდებოდა იმ შემზარავ გა-...ბას, რომ მოიპოვებოდენ ისეთი ...ი, ჯგუფები, რომელნიც ამართლე-...ნ უსიტყვოთ ურიგდებოდენ ამ ...ობას. ჯერ მაშინვე გაისმოდა ...რომ ეს პარტიული მკვლელობა ...მაგრამ არც ერთ შეგნებული ადა-...არა სჯეროდა ასეთი უხამსი ბრა-...ყა მთელი პარტიისა და მაშინვე ცხა-...იყო მხოლოდ, რომ შეუგნებელი ნა-...ი ამ პარტიისა, ერთი ჯგუფი მისი, ...იარებდა ამ მკვლელობის ბრალსა, ეს ...ი მეხის დატეხა იყო მაშინ, რომ ...ძლიერელი, ბევრმა გადაჭარბა კიდეც ...სიფიცეში; მაგრამ როდესაც დღეს, ...წელს შემდეგ, ფ. მახარაძე და მისი ...იძეირებენ იმავე ცილისწამებას ...ჭავჭავაძის წინააღმდეგ, როდესაც ...თითქმის ამართლებენ ამ საზიზ-...მკვლელობას—ჩვენ იძულებულნი ...ვიფიქროთ, რომ შემქმნელნი ილიას ...ლობის იდეისა და დამბადებელნი—...ით ს.-დ. იყვნენ.

...მა უნდა, ილია ჭავჭავაძე, ...ძო საკუთრების პრინციპის ...მემამულე, დაიცავდა თვის ...კლავდებოდა იმ აზრის გამა-...რომელიც წინაღმდეგი იყო

*) ...იგულისხმოთ წერილი „კლდეში“ ...ული. გადმოგვაქვს იმ მოსაზრე-...ნი საზოგადოების მეტს მგო-...ით იგი. რედ.

მისი შემეცნებისა, მაგრამ ჯერ არავის არსად დაუმტკიცებია, რომ ამ თავდაცვაში მას რაიმე სისასტიკე ჩაედინოს ან გლეხების დარბევა მოეწადინებიოს. ცილისწამებაც სწორეთ აქ არის და ფ. მახარაძის დაბეჭდილი კორესპონდენცია, სადაც მას ავაზაკათ გამოყავდა იდეური დამცველი კერძო საკუთრებისა—სწორეთ ის სტიმული იყო, რომელმაც მოაკვლევინა დიდი ილია.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. დიდბუნებოვან ადამიანთ ხშირათ დიდი ნაკლულევანებაც აქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამც თუ ისეთივე უაზრო, მხეცური საქციელია, როგორც ყოველი უბრალო ადამიანისა, არამედ ერთიათად მეტი. ადამიანს უფლება არა აქვს შეგნებული, პრინციპიალური მოწინააღმდეგე დასაჯოს სიკვდილით რწმენისათვის და ამისთვის იბრძვის მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას,—და რა იყო, თუ არა სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელობა? არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო, არ იყო გამოწვეული შფოთებით, ან პირადი ჯავრით—არა—ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და აი აქა აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშათ ფასობდა, როდესაც კერძო საკუთრების ყველა მომხრე იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავეთ ითვლებოდა სოციალისტურ წრეებში, გამოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრე, კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი იყო. რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისათვის ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავათ იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღეთ ითვლებოდა. და იმას დასამტკიცებლათ რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არა იყო, არამედ შეგნებულათ მომზადებული და „პოლიტიკური“ ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეური მოწინააღმდეგისა—ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებული“ გლეხები კი არ იყვენ, არამედ ვიღაც სხვა ... წრეებიდან გამოსულნი. და მათი იდეური სულის ჩამდგმელი (ПОДСТРЕГАТЕЛЬ) იყო ფ. მახარაძე.

ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით რომ ფ. მახარაძე შეუგნებელი დამნაშავეა, რადგან იმდენი ჭკუა თუ ქონდა მაშინ, რომ შეგნებულ ბრბოს ხელმძღვანელობდა, ისიც კარგა უნდა ქონოდა გათვალისწინებული, თუ ისეთს მზაკვრულს ბრალდებას რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

# ნუ, ნუ მეტყვით!..

ნუ, ნუ მეტყვით, ნუ მარწმუნებთ,
რომ ზემ-ქალის გრძნობა წმინდა
დღეს დაფლეთილ სამოსელში
მოედანზე გაიყიდა!

არა, არა!—მე არ მჯერა,
და ვერც ვინმე დამაჯერებს,
რომ გრძნობის ჩანგს, ცეცხლით ნაკვეთს,
დღეს ვაჭარი ააჟღერებს...

არა-მეთქი, გესმით—არა!
სულის სიკვდილს არ ვიწამებ,—
და თუ ეჭვი გულს დაჩრდილავს,
ცოდვას მყისვე შევინანებ...

მაგრამ... ღმერთო, რასა ვხედავ!!
ზეცავ! მითხარ—სად ვარ, სადა?!
გრძნობა ფეხქვეშ ვინ ვასთელა?
სულს ნამუსი ვინ ახადა?!.

სადაც გუშინ მზის ღიმილი
სიყვარულის სხივს აფრქვევდა,—
დღეს იქ შამბი ამოსულა,
დღეს იქ მეფობს შავი სევდა...

ოხ, მზის სხივო! ნულა მათფობ!—
ჩემთვის აღარ გათენდება:
ვერ უყურებ—მგოსნის გული
ცრემლით იწვის, ცრემლათ დნება?..

შორს, შორს ჩემგან, ტრფობის ღმერთო!
აღარ მჯერა შენი მცნება:
სიყვარული აღარა მწამს—
დე, ასრულდეს ვაჭრის ნება...

სევდიანი.

გარდა ამისა, განა ახლანდელი მისი და მის ამხანაგთა განგაში. ახლანდელი განმეორება ცილისწამებისა, არ ამტკიცებს, იმას, რომ ისინი დღესაც იმ აზრის არიან, რომ ილია სამართლიანად მოკლეს, მის მიერ ჩანადენ (?) დანაშაულისათვის? განა ის, ჭკუას და აზრს მოკლებული პროტესტები. რომელთაც აწერინებენ ვიღაც გაქსუებულ მუშებს, არ ამტკიცებს, რომ დღესაც მოიკვლებოდა ილია, რომ ამ მკვლელობის განმეორება შეიძლებოდეს? განა ისინი, ვინც მკვდარს არ ასვენებენ საფლავში, ... ძალლით მოსილი ნიჭის წინაშე და იტყოდენ: შენ, მართალია, ადამიანური ნაკლები გაქვს, მაგრამ მაინც პატივსა გცემთ, როგორც ღირსეულს?

არა, ისინი დღესაც გაუგმირავდენ მას გულსა, რადგან ფანატიკოსური შემეცნება, რომელიც მით უმეტესათ იპყრობს ადამიანს, რაც უფრო დაბალ საფეხურზე სდგას იგი განვითარებისა და შეგნებისა,—დღესაც უკარნახებს: არავითარ საშუალებას არ მოერიდო შენი მიზნის მისაღწევათ. და როდესაც ნამდვილი, ევროპიელი დემოკრატია მუხლს მოიდრეკდა დიდი მგოსნის წინაშე და ეტყოდა: მირონცხებულო, ნაკლნი შენნი ქრებიან შენი შარავანდედის ბრწყინვალებაში,—ჩვენებური შეუგნებელი, გაბოროტებული და მარტო შურით აღჭურვილი „მუშათა პარტია“ (აფსუს სახელო) ეუბნება მუშას: წვრილი მიზნისათვისაც კი არ დაინდო დიდებული ადამიანიო. აგრეც უნდა იყოს: იდეა, სამუშაო იარაღსა გავს—ჭკვიანის ხელში ხმარდება სასარგებლო საქმეს და ბრიყვნი ხელ-ფეხს წარიკვეთენ, ან სხვას დაასახიჩრებენ.

სხვასთან ერთად ჩვენც ვაცხადებთ ჩვენს გმობას და ზიზღსა იმ პირებისადმი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის წმინდა სისხლსაც არ ინდომებენ და თავის პოლიტიკური მლიქვნელობის იარაღათ ქმნიან.

რ. გ.

# ფიქრთა მორევში.

მიკიბულ მოკიმულო პასუხები, სინამდვილის გვერდის ახვევა, ... მახინჯება, ... გაყორნება, თავისი გაყორნებულის გათეთრება—აი, იარაღი და მახვილი ჩვენი მოწინააღმდეგებისა.

მეტიჩრობითა და მედიდურობით, მამლაყინწური ქამანდებით, სიტყვის რახარუხით მალამოს სცხებენ თავიანთ სიკოტრეს და თვალისჩინს უბრმავებენ იმათ, ვინც დროსა და გარემოების წყალობით და ხელშეწყობით თავიინთ ფარგალში მოამწყვდიეს. მაგარი სალტი შემოაკრეს ამ ფარგალს—წრეს, მაგრამ აი, დღითიდღე ხედვენ და გრძნობენ—წრე სწყდება, სალტი გაცვთა... მომაკვდავის უკანასკნელი სულთა ბრძოლაა ეს აყოყოჩებული, მისუსტებული შეძახილი... ეს შეთხზული პროტესტებიც აგონიის შედეგია...

განა „სიტყვას“ წერილის პასუხია ის ქარაგმები რომელიც „თანამედროვეთა“ გა-...ზეთში იყო?!

სულთა ბრძოლაა!.. დე, ამოიყვირონ, ამოხეთქონ კვლავ გესლი და შხამი და... დადუმდებიან.

აგონიას საუკუნო დუმილი თან სდევს.

დ. მესხი.

# მშრომელი ხალხი.

გაფიცვა იტალიაში. მილანში გაფიცვა გძელდება. გაფიცულები თავს ესხმიან ტრამვაის ვაგონებს. ქალაქის შემოსავალში დადგენ და რამდენიმე შტრეკბეიხერს შემოსვლის ნება არ მისცეს. აქ ამ ნიადაგზე გაფიცულებსა და ჯარს შეტაკება მოუხდათ. გაფიცულებმა ააგეს ბარიკადები და კარაბინერებს ქვები დაუშინეს. ზოგიერთ ადგილას პოლიციელები გაფიცულთა გასაფანტათ აერში ისროდენ თოფებს. შეტაკების დროს მრავალი ცხენოსანი ჯარისკაცი ქვით დაშავდა. გაფიცულებმა მიტინგი გამართეს. მიტინგზე გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა მილანის გაფიცვაში ანარქისტ-სინდიკალისტები იღებენ მონაწილეობას. მთავრობის ცნობით გაფიცვა მალე შეწყდება, ვინაიდან სოციალისტური პარტიები მას უარყოფით ეკიდებიან.

ბაქოს გაფიცვა. ბაქოში მუშათა გაფიცვა ნავთის ყველა სამრეწველოს მოედვა. მანთაშევის, მირზაევის და ძმათა რალსკის და მენკედორფის მუშებმა თავისი მოთხოვნილებანი წარადგინეს. ითხოვენ—ქარხნის ადმინისტრაციამ შეიწყნაროს მუშათა მუდმივი კომისიის არსებობა.

...ული გამოერკვა...

...მეძინა? წამოიძახა ლემ და ...დახუჭა, სურდა მოჩვენე-...ოეწვია, მაგრამ ცთა ამაო ...მოჩვენების ხატებაღა იდ-...ტანჯებოდა... და იგი გა-...ობის ალმურში გახვია, მი-...იის ტალღებში ჩაეჭდო და ...ძვირფასს მოჩვენებას...

...იყო, როცა დარაჯმა ქალა-...ულო მწარეთ დაფიქრებულ ...

...დღეს იგი, მიუხედავათ ხოსრო ...აფრთხილებისა თვისი მამობი-...ესტინას გაემგზავრა...

5.

...ბალში კისკისი ისმოდა, კისკი-...ბელი, რომელშიც ერთად ...წევდა და სიხარული, სი-...სიყვარული. გუშინ, მხო-...სალომე იოანეს ყვითელ ...ა, მაგრამ მოსტყუვდა, მი-...დაყოფილებელი დარ-...იძ ტუჩებში ის—რასაც ...ორციელი თვისი ტანი-...ვსილი დაურჩა და კვლავ ...ობს, გუშინ, მხოლოდ გუ-...იოანეს მოკვეთილ თავს დას-...და... მაგრამ მისი ვნება დაუკმა-...ბელი დარჩა და დღეს იგი კის-...ალბათ, ეს კისკისი ვნებით აღძ-...უსიკაა, რომელშიც ყველაფერი ...ება. ალბათ, ეს კისკისი მისი ...დია, რომელშიც სურს გახვიოს ...ბის საგანი... და მართლაც მის ...ოლხეთელი ლე ზის, რომე-... თვისი მამობილით იროდს ...

...ლვათ იბნიდება სალომე... ...ამაზით კრთის ...ის ასული, ...კაკლ... ...ხეთისა. ...მისა. ამან მოხიბლა სა-... ...რომელიც იოან...

სიყვარულით გატაცებული, მისი თავის მოკვეთამდი თავს ღვთაებათ გრძნობდა... მაგრამ იოანეს სიკვდილს შემდეგ მან თვისი სიყვარულის დიდი ნაწილი, ერთხელ შარავანდედით ამობრწყინებული, უკვე ჩაასვენა... გუშინდელ სინათლეს ბნელი გადააფარა... სალომემ იგრძნო სულიერი და ხორციელი მისწრაფება იოანესადმი და მის სულში თვისი სული ჩადგა და იგრძნო სიძლიერით განცთილი ნეტარება დიადის სულის... სიყვარული მისი სულიერი იყო უკვდავი. სალომეს გულში ჩაბეჭდილი იყო სული იოანეს, რომელსაც ასული სასოებით თაყვანსა სცემდა. მაგრამ სალომემ ვერ იგრძნო სიტკბოება იოანეს ტანისა, ამიტომ მის გულში უსაზღვრო ლტოლვა იყო ... რაც მას უნდა განეცადა; სალომე დასტკბა იოანეს სულის სიდიადით, მას სურდა დამტკბარიყო მისი ტანის ...იგივეთ... მაგრამ...

და ლტოლვა მისი უფრო გაორკეცდა და ამ დროს იხილა ლე,—რომელსაც ტანი იოანესი ქონდა, რომელსაც ქონდა ტუჩები ღვთაებრივი წინასწარმეტყველის და სალომეც შეიპყრო ვნებამ და კოლხეთელის წინ გველივით ... ...ბოდა.

სალომე გადგა რამდენიმე ნაბიჯზე. დაიკლაკნა, მარჯნის ტუჩები ზევით ასწია—და გიჟური ვნებით ლეს თვისკენ იწვევდა... ლე მთლად ცახცახობდა. მას ასეთი ჯერ არა ენახა. იგი ერთიან აიტანა სალომეს ტანის ნაკვთების მოქნილობამ და ის იყო აპირებდა მის ტუჩებზე დაკონებას... რომ მის წინ მშვენიერი მოჩვენება გაჩნდა.

— და...მე...ხს...ენ!—გიჟივით შეყვირა ლემ და სალომეს მკლავებს დაუკვრა—დამეხსენ—და იგი ბაღიდან ქუჩაზე გამოვარდა...

6.

იერუსალიმის ... ... ...არა ...რიჯულმა ლე... ...ტანჯებო...

...ლაც უცნობი სევდა მას ახჩობდა. უცნობი მოჩვენება, რომელიც სალომესთან გამოეცხადა, ოცნებაში თან სდევდა და სტანჯავდა.. კიდევ, კიდევ სურდა ეხილა ან მოჩვენებით, ან სინამდვილეში ის ვინც ასე უზომოთ ატყვევებდა მის გულს. უცებ საკრავთა ხმა მოესმა, თან ტკბილი სიმღერა. ბაღში გადაიხედა, იმ ბაღში, სადაც ვაზებზე ყურძნის გავსებული მტევნები ეკიდა. გადაიხედა ბაღში ლემ და ვაზის ძირას დაინახა განმარტოებით მჯდომი ასული...

— ის... ის!—და ლე აკანკალდა—ის. ის!—იმეორებდა მისი ტუჩები და სხვა ვერა ეთქვა.—ჩემი მოჩვენება, ჩვენი ღვთაებრივი ასული!—თრთოლვით წარმოსთქვა მან და ჭვრეტათ გადაიქცა. უცებ კეკლუცის გვერდით ვიღაც ჭაბუკი გაჩნდა.

— სად გამოექეც მარიამ?—შეეკითხა შეზარხოშებული და მკლავი დაუჭირა.

— მომშორდი!.

— ჰმ... ახლა მოგშორდე, როცა ჩემი გული დაკოდე? ვერა, ვერ მოგშორდები მშვენიერო მაგდალის ასულო!

— მომშორდი!..

— არა! და ჭაბუკმა მკლავები მოხვია... მაგრამ, სანამ კოცნას მოასწრებდა, ლე იქვე გაჩნდა და შეზარხოშებული ებრაელი შორს გასტყორცნა.

— ნუ შემრისხავ, ღვთაებრივო, მიბძანე უმშვენიერი ერისო ასულო იერუსალიმისავ, და გფიცავ ღმერთებს ჩემის მათრახით სულს ამოგაძრობ და შენ მოგართმევ...

გაოცებული მაგდალინელი მისჩერებოდა ლეს და სიტყვა ვერ ეთქვა... ბოლოს მის წინ დაჩოქილ კოლხეთელს ხელი მისცა და ააყენა.

— უმშვენიერესო,—კოლხეთის მეფის ვაჟი ლე, მზათაა პალესტინას ... სამ-...საჩუქრათ ... მოუწიოს.

მაგდალინელმა თავი დახარა... ხელი მოკიდა ლეს და სუფრაზე მიიწვია...

— ძვირფასი სტუმარი მოგიყვანეთ... იმხიარულეთ... მშვენიერ კოლხიდელს გულდაწყვეტილს ნუ გაუშვებთ! მიმართა მაგდალინელმა სტუმრებს. და ლეს ადგილი უჩვენა... თვითონაც გვერდით მიუჯდა...

მისჩერებია მაგდალინელი ლეს და გული სხვანაირათ უფეთქავს. ჯადოსნური ქრუანტელი ტანს უვლის ასეთი რამ არაოდეს არ უგრძვნია. რამდენს ვაჟს იგი მკერდს ჩაკვრია რამდენს მოუხიბლავს იგი, მაგრამ ასეთი მაინც არაფერი განუცდია. თვით იუდასაც არ გაუღვიძებია მის სულში ასეთი ლტოლვა... აქამდი ყოველ მამაკაცის შეხედვაზე მისი ტანი კრთოდა, გრძნობდა მშვენიერი ტანის სიახლოვეს და გიჟურ ვნებაში ილეოდა... ახლა კი მისი სული შეიძრა. ტანთან ერთად ათრთოლდა, რაღაც ლტოლვით მისი გულიც და პირველათ სიყვარულის სევდა ტანს მოედვა...

ჩაფიქრებული ზის მაგდალინელი. ჩაფიქრებულია ლეც, რადგან მის წინ ზის ის მოჩვენება, რომელიც ტიბრიას ნაპირას იხილა და მას აქეთ მის ოცნებაში ტრიალებს... ათრობს.

შავ ღამეა... სავსე მთვარე კაშკაშებს. ბაღში მაგდალინელის სტუმრები აღარ არიან, წავიდ—წამოვიდენ. მხოლოდ ლე და მაგდალინელი დარჩენ, სხედან შადრევანის კვარცხლბეკზე. ლიკლიკებს შადრევანიდან ამოხეთქილი წყალი და მთვარის შუქზე ოქროს ფრათ ბზინავს...

— ლე, მიყვარხარ!—წასჩურჩულა მაგდალინელმა...

ლე არ იძვრის იგი სულ სხვა ძალას მოუტაცია.

— ლე გაფიცებ ...ოლხეთს, გაფიცებ სიყვარ... ...ისე, როგორც მთვარეს გარს მოეხვია ღურბელი...

დუმილი ლეს არ ესმის...

— ლე, იქნება ჩემი ტუჩები უგემური გგონია, ჩემი ტუჩები წითელია, ვით საპასექოთ დაკლული ბატკნის სისხლი. ლე, ჩემი ტუჩები ისე ლამაზია, როგორც პირველათ ბუჩქზე გაშლილი ვარდი... შემოხედე!! ჩემი ტუჩები ტკბილია, ვით თაფლი, ის თაფლი, რომელიც იმ დროსაა შეკრებილი, როცა პირველი სხივი მნათობისა ნაზ ყვავილთ ქოჩორს დაუვარცხნის. მოდი, მაკოცე... ჩემი ტუჩები ცხელია, ვით ცეცხლის მფრქვეველი მთიდან ამოხეთქილი ალი მოდი, ლე, მაკოცე... არ მოდიხარ... ლე, ჯერ მთვარეს დაუკვირდი. მისი ციალი მისი თრთოლვა დაიჯერე... და მერე აი, ჩემს კოკრებს შემოხედე... მთვარეს ფასი დაეკარგება. ლე, ლე... არ მიყურებ... ლე. აჰა, მთლად ტიტველი ვარ... შეხედე ცისკარს, მერე მე შემომხედე, თუ ჩემზე მეტათ იგი ვნებით კანკალებდეს—მომშორდი. ჩაუკვირდი მთვარეზე თალხივით გადაკრულ ღურბელს, თუ სითეთრე მისი ჩემი ტანის სითეთრეს ალემატებოდეს—გაიქეც ამ ბაღიდან. მაშ, მოდი, მოდი... გატყობ, მოხიბლული ხარ. მოდი... შეგიყვარებ იმ სიყვარულით, რომელიც დასაწყისიც იქნება და დასასრულიც. მოდი...

ლე დაიძრა. ის იყო უნდა ჩაეკრა ვნება მოზღვავებულს მაგდალინელი, რომ მისი ჩვენება კვლავ წინ გაუჩნდა...

— მო... მოდი!... ძლივს ჩურჩულებდა მაგდალინელი. და მის ბაგეებს მწარე—გიჟურათ ჩაეკონა.

— არა!.. გიჟივით შესძახა ლემ და აფთარივით მაგდალინელის ბაღიდან გამოვარდა...

დია ჩ...ელი.

(დასასრული ხვალ)

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასად ✦✦

**სავაჭრო სახლი**
# ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

| ბორჯომის წყალი | თავის ქურქლით. 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (იაშ.) |
|---|---|---|---|
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| 1/2 | 16 1/2 კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 - 1/2 | 14 1/2 კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

ფიცვის გამო ნავთის ფასმა ძალიან აიწია. ფუთი ნავთი ახლა 49 1/2 კაპიკათ იყიდება. გაფიცვა ნობელის სამრეწველოებშიც გამოცხადდა, გაიფიცა 10 ათასი მუშა. ნობელის სამრეწველოებში ყოველდღიურათ 150 ათას ფუთ ნავთს ამზადებდენ.

**გაფიცვები ლოძში.** სავაჭრო-სა რეწველო გაზეთის ცნობით ლოძში 37 სამრეწველოს მუშა გაიფიცა. 149 სამრეწველო სახელოსნოში მუშაობა განახლდა. 21 ათასი მუშიდან 10649 მუშამ მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. მუშებმა შრომის ფასი 5—15 პროცენტით გაიდიდეს.

## რუსეთი.

**სამხედრო სამკურნალო აკადემია.** სამხედრო სამკურნალო აკადემიაში თხოვნების მიღება 25 ივლისიდან შეწყდა. აკადემიაში 250 ადგილია და მთხოვნელი კი ხუთასია. ადგილს „მედალისტებს" მისცემენ. შეწყდა თხოვნების მიღება პეტერბურგის ისტორიულ ფილოლოგიურ ინსტიტუტშიც. 27 ადგილია და 91 თხოვნაა შესული.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** პეტერბურგის დამცველ პოლიციის განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ ოხტზე არის რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის არალეგარული სტამბა. 25 ივლისს ოხტზე პოლიციამ გაძლიერებული პოლიციელთა რაზმი, გამოიყვანა, პოლიციელები, მივიდენ ზეინკალ ჩიადრიკოვის ბინაზე. ჩხრეკის დროს ერთ ოთახში ნახეს ასოების კასა. პოლიციელებმა იატაკის ფიცრები აყარეს და ჩხრეკა მეორე დღის დილამდი გაგძელდა. დააპატიმრეს რიადჩიკოვი და სტუდენტი ბელიაევი.

**მეფუტკრეთა კრება.** კიევში ბუნების მოყვარეთა საზოგადოება სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა მე 7 კრებას იწვევს გაზრახულია 7 სეკტემბრიდან გახსნან. იმსჯელებენ სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კომიტეტის დაარსებაზე.

**გამოფენა.** იაპონიის მთავრობამ პეტერბურგში რუსეთის მთავრობას სთხოვა 1914 წელს მარტში ტოკიოში საერთაშორისო სამრეწველო გამოფენა გაიმართება და გთხოვთ მონაწილობა მიიღოთო.

## უცხოეთი.

**რევოლიუცია ვენეცუელაში.** უცხოეთის გაზეთების ცნობით, ვენეცუელაში თავი იჩინა რევოლუციონურმა მოძრაობამ. რევოლუციიას ხელმძღვანელობს ყოფილი პრეზიდენტი კასტრო: კასტრომ 20 ივლისს ხალხის მიმართ მოწოდება გამოსცა. მან ოფიციალურათ გამოუცხადა ომი დღევანდელ პრეზიდენტს გომეცს. მოწოდებაში სწერს მთავრობის თავგასულობამ მშვიდობიან ცხოვრებაზე ხელი ამაღებიაო. ვენეცუალა ისევ მეძახის და მეც ვალდებული ვარ აღვადგინო მისი უფლებაო. ჩემი მიზანია—ხალხის ანარქიისგან დახსნაო. პრეზიდენტი გომეცი პუკრტო-კაბელაში წავიდა აჯანყებულთა დასამშვიდებლათ. ცნობაა.—კასტროს მომხრეთა ჯარი ორ ადგილას მთავრობის ჯარმა დაამარცხაო. კასტრომ აჯანყების მოხდენის პლანი შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს შეადგინაო. იქ მას უყიდია იარაღი და ვენეცუალაში გამოუგზავნია.

ბუქარესტში მეომარ სახელმწიფოთა დელეგატებმა სამშვიდობო ხელშეკრულობაზე ხელი მოაწერეს. კავალა ბერძენთა ხელში გადადის. მისსავე ხელში გადადის სერესი, დრამა და სხ. ბულგარეთს რჩება ლაგოსის ნავსადგურის გარშემო მდებარე ნაყოფიერი რაიონით შარიბასანით და ქალაქი ქსანტი, რომელიც განთქმულია თამბაქოს პლატანციებით.

**იმპერატორი ვილჰელმის რჩევა.** ხმებია—იმპერატორმა ვილჰელმა მეფე ფერდინანდს ურჩია—კავალაზე უარი განაცხადე და ამითი ევროპის კონფერენციას ნუ გაგვაწყვეტიებო. იმპერატორმა ფერდინანდს აცნობა, რომ ბულგარეთს გერმანია მხარს ვერ დაუჭერს კავალას მოთხოვნაშიო.

**ბუქარესტის გადაწყვეტილებათა ხელმეორეთ განხილვა.** რუსეთის დიპლომატია აფასებს იმ სხვერპლს, რომელიც მზათაა ბულგარეთმა შესწიროს ზავის ჩამოგდებას და ამიტომ იგი ეცდება ბულგარეთი არ დაიჩაგროს. დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, რომ თუ კავალა ბერძნებს ხვდა, მაშინ რუსეთი ოფიციალურათ მოითხოვს, რომ ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილება დიდმა სახელმწიფოებმა განიხილონო.

## ბალკანეთის ამბები.

**ოსმალეთის შეიარაღება.** პორტამ გადასწყვიტა—ჯარის გადიდება. გალიპოლს, ჩატალჯას, კირკილისს და ადრიანოპოლს თითო-თითო კორპუს გაგზავნიან პორტამვე მიმართა მცირე აზიის მცხოვრებთ მოწოდებით—ცხენოსანი რაზმი შეადგინეთ და სტამბოლში გამოგზავნეთო. სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა ინიადის ნაპირები გაამაგროს, და აგოს იქ ახალი სიმაგრენი.

**დემობილიზაცია.** ზავის ჩამოგდებას შემდეგ ბულგარეთში მინისტრთა კრებები ხდება დემობილიზაციის საკითხის შესახებ სათათბიროთ. ჯარის სრული დემობილიზაცია შეუძლებლათ მიაჩნიათ, ვინაიდან ბევრი საკითხი გადაუწყვეტელია და დემობილიზაციის მოხდენა ამათ დამარხავსო. უკანასკნელი ცნობაა—ბულგარეთის დელეგაციამ რუსეთის ელჩს განუცხადა, ბულგარეთი სრულ დემობილიზაციის მოხდენას დაუყონებლათ შეუდგება მიუხედავათ იმისა, რომ ფრაკია და ადრიანოპოლი ოსმალებმა დაიკავაო. ბულგარეთი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოები ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვრის შეცვლას არ შეიწყნარებენო.

**კონფერენციაში მონაწილეთა დეკლარაცია.** ბუქარესტის კონფერენციაში მონაწილეებმა გადასწყვიტეს ევროპის სახელმწიფოების კონცერტს განსაკუთრებული დეკლარაციით მიმართონ. დეკლარაციაში გამოთქმული იქნება სურვილი, რომ დიდი სახელმწიფოები ადრიანოპოლისა და ფრაკიას ბულგარეთს დაუბრუნებენო.

## ოდიში.

**ს. ხორგა** ათი წლის წინათ მთელს ზუგდიდის მაზრაში პირველი ადგილი ეჭირა სოფელს ხორგას ჭირნახულის მოსავლისა დ ხალხის ეკონომიური მდგომარეობის მხრით. დრო და ჟამი გავიდა და ხალხის მდგომარეობა შეიცვალა, დადგა მოუსავლობიანი წლები და მით ეკონომიური მდგომარეობაც დაქვეითდა. წელს-კი მოსავალს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს.

საბედნიეროთ ხალხის ეკონომიურ დაცემას მოყვა კულტურული დაწესებულებათა წარმოშობა: ერთი წლის წინათ არსებობდა მარტო ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო შკოლა, ერთი წლის განმავლობაში გაიხსნა სოფლის სხვადასხვა კუთხეში სამი სამინისტრო ერთ-კლასიანი შკოლა ხაზინის საშვალებით.

წასული წლის აპრილის თვიდან არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა, რომლის თანხა უდრის 13000 მანეთს. ჯერ-ჯერობით ეს დაწესებულება კარგათ უწყობს ხელს თავის წევრებს.

ყველა ეს კულტურული დაწესებულებანი დაარსებულია ორი-სამი ადგილობრივი ინტელიგენტთა მაცადინეობით. იმედია ესენი შემდეგშიც განაგრძობენ მაცადინეობას სხვადასხვა კულტურული დაწესებულებათა დაარსებით და გაფართოვებით, რაც ხელს შეუწყობს ხალხის გონებრივ ეკონომიურათ აწევას.

სოფლის ერთი კუთხეში, სახელდობ „ქარიატაში" განზრახულია საამხანაგო დუქნის გახსნა კოოპერატიულ ნიადაგზე, რომლის ნებრთვა უკვე აღძრულია მთავრობის წინაშე.—

ნახევარი წლის წინათ მთელი ზუგდიდის მაზრა ყაჩაღთა ბუდეთ იყო ცნობილი. და ადგილობრივი ყაჩაღები არხენათ დათარეშობდენ სხვა სოფლებში. მაგრამ მაზრის უფროსმა ბ. ჩერნოვმა ენერგიული მაცადინეობით, როგორც მთელი მაზრა, ისე სოფ. ხორგაც ყაჩაღებისაგან თითქმის გაწმინდა. მაზრის ადმინისტრაცია აგრეთვე დიდს ყურადღებას აქცევს გზების გაყვანას.

**მეთვალყურე.**

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

## ბარეშე ცნობა.

პროკოფია გუჯაბიძეს ეჭაშნიკა ჩემი ბრალდებები.' მელამაც ასე სთქვა მწიფე ყურძნისთვის: „ისრიმია და კბილებს მომკვეთსო". ეჰ! კმარა, ისეთს კაცს, რომელიც ცრუ მოწმეთ უდგებოდა ერთს ჩემს ნაცნობს, რომელსაც გაჭირების დროს ცოტ-ცოტაობით 15 მანეთი ვასესხე და ახლა წერილის ჩამოურთმევლობის გამო უარი მიყო... არაფრის არ შერცხვება.

**პელ. ღორიას ასული.**

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ. სახ. 11 ს. 27 წ. ღამ.
**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5[illegible] სად.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.
**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.
**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.
**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სად.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ.
**ფოთიდან:** საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1[illegible] 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. [illegible]
**შორაპნიდან:** საავ. 9 ს. 31 წ. დილ.
**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 1[illegible] საათ. 9 წ. დილ.

15 ივლისიდან 15 აგვისტომდი მიიღება ხელის მოწერა სიმონ ქვარიანის წიგნზე.

## „შოთა რუსთაველი და მისი პოემა"

წიგნი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის დაახლოებით 100 გვერდამდი, შოთა რუსთველის სურათით და სხვ., ეღირება ხელის მომწერთათვის მხოლოდ ერთი აბაზი, გასაყიდათ კი მეტი ფასი ექნება.

ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთველის ფონდის გასაძლიერებლათ.

ვინც აგენტობას ისურვებს ვთხოვთ გვაცნობოს. ადრესი: ბაღის ქუჩა ს. გერსამია.

გამომცემელი სერგო გერსამია.

## ЖЕЛАЕТЪ ИМЕТЬ

въ неболшомъ семействѣ интелигентномъ на учебное время двѣ комнаты съ подлиннымъ пансiономъ для дамы и гимназиста. Предложенiя просимъ адресовать Ново-Сенаки Кут. губ. домъ священика Гамзардiя. Гашенко.

იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში

## კანონი

გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეძენით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.

## ВРЕМЕННАЯ

инструкцiя должностнымъ лицамъ и учрежденiямъ по приведенiю въ исполненiе Закона 20 декабря 1912 г.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან

## ა. თაბაგარის მაღაზიაში

☛ 20 ივლისიდან დანიშნულია ☚

## დიდი იაფი ვაჭრობა

## ველოსიპედების და სხვ.



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მანქანები გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

●●◘ ფასები ძლიერ დაკლებულია ◘●●

## აბანო

### ძმ. ყორყოლაძეებისა

მიმართეთ ჰირდაპირ 15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრ[illegible] სილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბ[illegible]ნა და სასმელსაჭმელი.

## გ. გორდამის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ[illegible] უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინ[illegible]ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ეუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

### რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.